განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისურენოვანი)
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი:06.10.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 18 ნოემბერი, 2020

თბილისი

2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მენეჯმენტი
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში / Master of Business Administration in Management
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #108 გადაწყვეტილება, 24/08/2018

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ღაღანიძე, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბექა მარუაშვილი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ცირამუა, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 24 აგვისტოს #108 გადაწყვეტილებით. აკრედიტციის ექსპერტების მიერ შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც პროგრამის განვითარებაში ჩართული პირების მიერ სრულად იყო გათვალისწინებული. დაკორექტირდა პროგრამის მიზნის ფორმულირება, გაანალიზდა და განახლდა პროგრამის სტრუქტურა, ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის სათანადო დარგობრივი კომპეტენციების უზრუნველმყოფი სასწავლო კურსები, გადაიხედა ძველ პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შინაარსი და რამოდენიმე სასწავლო კურსს შინაარსიდან და დატვირთვიდან გამომდინარე შეეცვალა კრედიტების მოცულობა და სწავლის მეთოდები. ზოგიერთ სასწავლო კომპონენტს შეეცვალა სტატუსი, ასევე განხორციელდა ცვლილებები სასწავლო კურსებისთვის წინაპირობების განსაზღვრის კუთხით.

  მენეჯმენტის განახლებული სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 2 სასწავლო წელს (4 სემესტრი), სასწავლო წელი იყოფა 2 სემესტრად. სწავლების ბოლო სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, რომელიც პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს მენეჯმენტის სფეროში არსებულ კომპლექსურ პრობლემას და ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც ორიენტირებულია პრობლემისა და მისი კონტექსტის შესწავლაზე კვლევის მეთოდების გამოყენებით და მისი ეფექტური გადაჭრისთვის შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბებით.

  მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული:

  - ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები – 70 კრედიტი (აქედან ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები - 32, მენეჯმენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 38 კრედიტი);
  - კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) - 30 კრედიტი;
  - ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის არჩევითი სასწავლო კურსები – 15 კრედიტი
  - თავისუფალი კრედიტები – 5 კრედიტი

  მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში / Master of Business Administration in Management.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 6 ოქტომბერს ონ-ლაინ რეჟიმში. აკრედიტაციის ექსპერტებს დროულად ქონდათ გადმოგზავნილი მასალები, რაც მათ საშუალებას აძლევდა შეესწავლათ მასალები. წინა დღით 5 ოქტომბერს ჩატარდა ონ-ლაინ შეხვედრა, სადაც აკრედიტაციის ექსპერტებმა და ცენტრის წარმომადგენლებმა იმსჯელეს წაკითხული მასალების შესახებ, ჩამოყალიბდა შეკითხვების წრე, დაიგეგმა დასკვნის პროექტზე მუშაობის ფორმატი.

თვითონ ონ-ლაინ ვიზიტის დროს შეხვედრები ჩატარდა წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით. შეხვედრები შედგა პროგრამის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. ზოგადად შეხვედრებმა ჩაიარა საქმიან და პროფესიონალურ ვითარებაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.თუმცა ორი ქვესტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და მათთან დაკავშირებით დაკავშირებით გამოითქვა რეკომენდაციები.

- **რეკომენდაციები**

უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს კარიერული განვითარების მიმართულებით დეტალური სამოქმედო გეგმა და ამ მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს მისცეს სისტემური ხასიათი.

მიზანშეწონილია ბიუჯეტის უფრო გასაგები ფორმატით ფორმირება და საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა.

მიზანშეწონილია ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი ხარჯები და მათი დაფარვის წყაროები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველი იქნებოდა უცხო ქვეყნების მოქალაქეების აქტიური მოზიდვის საკითხის გამოყოფა მიზნებში.

სასურველია, არაპროფილური სტუდენტებისთვის დაემატოს შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილების ქონის მოთხოვნა.

პროგრამის მარტივად დაძლევის მიზნით, სასურველია სხვა პროფილის სტუდენტებისთვის (ვისაც არ აქვს ეკონომიკასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი სამუშაო გამოცდილება) შეთავაზებულ იქნას ინტენსიური მოსამზადებელი კურსი ბიზნესის ადმინისტრირებაში ან remedy საბაზისო კურსები (მარკეტინგში, ფინანსებში, მენეჯმენტში) კურიკულუმს მიღმა.

სასურველია დაწესებულებამ გამუდმებით იზრუნოს პროგრამის უახლესი ლიტერატურით უზრუნველყოფაზე.

სტუდენტის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, სასურველია უსდ-მ გაზარდოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრების ვადა 2 კალენდარული დღიდან 3 სამუშაო დღემდე.

სასურველია, უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ შეიმუშავოს აკადემიური სტილი, რომელიც განსაზღვრავს ერთიან წესს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს ყველა

სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც უნივერსიტეტში იქნება წარმოდგენილი მაგისტრის ხარისხის მოპოვების მიზნით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში მოხდა: საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის დახვეწა, სასწავლო დისციპლინების კრედიტების დიფერენცირება, სასწავლო გეგმას დაემატა ახალი სასწავლო დისციპლინები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები ნათლად არის ფორმულირებული და ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას. მიზნები გაზომვადია და ითვალისწინებს ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს.ნათლად არის ფორმულირებული კურსდამათავრებულთა ცოდნა, უნარი და კომპეტენციები შეესაბამება კავალიფიკაციათა ჩარჩოს განათლების შესაბამისი დონის მოთხოვნებს. პროგრამის კურსდამთავრებულთა მომზადება ემსახურება დარგის განვითარებას და ითვალისწინებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას, ამდენად ხდება შესაბამისი სფეროსა საზოგადოების განვიტარების ხელშეწყობა. მიზნები საჯაროა, ხელმისაწვდომია და ადვილად გაზომვადი. თვითონ უსდ-ს და პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციის მაქსიმალურად მაღალი დონის მიღწევებზე. ამავდროულად სასურველი იქნება მიზნებში უფრო მკვეთრად

გამოიკვეთოს ინტერნაციონალიზაციის ისეთი ასპექტი, როგორიცაა უცხო ქვეყნების მოქალაქეების აქტიური მოზიდვა რათა, მათ განათლება მიიღონ საქართველოში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები; ○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისია; ○ ბაზრის კვლევა, დამსაქმებელთა შეფასების ანალიზი და დასაქმების სტატისტიკა; ○ ვიზიტის დროს ჩატარებული შეხვედრები აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან; ○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველი იქნებოდა უცხო ქვეყნების მოქალაქეების აქტიური მოზიდვის საკითხის გამოყოფა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მათში ასახულია ცოდნა-გაცნობიერება, უნარები და პასუხისმგებლობა/სწავლის ავტონომიურობა; ამდენად კურსდამთავრებული იღებს იმ უნარებს რაც მოთხოვნადია შრომის ბაზარზე; • შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, შეფასების ინდიკატორები და შეფასების დონეები; კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლის გაგრძელება განათლების შემდგომ საფეხურზე • განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად საჭირო მონაცემები, განსაზღვრულია თუ რომელ სასწავლო კურსში და შეფასების რომელი მეთოდის შედეგების შეგროვება არის საჭირო ანალიზისთვის; • სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პროცესი აღწერილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქციაში; • შედეგები გაზომვადია. სწავლის თითოეული შედეგის გასაზომად განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად; • სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის მეშვიდე დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; • სწავლის შედეგები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს; • სწავლის შედეგების შემუშავება-დახვეწაში მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული მხარე; • პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების შეფასებით პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და გაზომვადია. სწავლის შედეგების მიღწევადობის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია კურსდამტავრებულთა დასაქმება და მათი შემდგომი კარიერული ზრდა. ასევე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებელთა მოსაზრებების გათვალისწინება და მათ შესაბამისად პროგრამისა და ცალკეული სასწავლო კურსების კორექტირება. ეს პროცესი უსდ-ში მიმდინარეობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები; o ბაზრის კვლევის ანგარიში; o სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი; o ანგარიში პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისა და აკრედიტაციის

საბჭოს და ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ; o საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია; o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. გასაუბრება კურსდამთავრებულებებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა. ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდის საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე). ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისური ენაში (B2 დონე). უცხო ენის გამოცდისგან თავისუფლდება პირი ერთ-ერთი შემდეგი პირობის არსებობისას: ✓ აქვს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, IELTS და FCE); ✓ ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან); ✓ პირი არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური. სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და იგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: https://ibsu.edu.ge/en/bt-page/management/ სპეციალობის საუნივერსიტეტო გამოცდა გარკვეულწილად აფასებს ბაკალავრიატის ნებისმიერი დარგის კურსდამთავრებულთა საბაზისო ცოდნას ბიზნესის ადმინისტრირების საკვანძო საკითხებში. თუმცა სასურველია, არაპროფილური სტუდენტებისთვის დაემატოს შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილების ქონის მოთხოვნა.სამუშაო გამოცდილება და პრაქტიკული უნარები დააკომპენსირებენ ამ სტუდენტებისათვის საბაზო დონის

არაპროფილურობას. არაპროფილურობაში იგულისხმება, რომ საბაზო საბაკალავრო განათლება არაა ბიზნეს ადმინისტრირებაში ან ეკონომიკაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის ვებ–გვერდი: https://ibsu.edu.ge/en/bt-page/management/ ○ ინტერვიუ პროგრამის ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუ ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: სასურველია, არაპროფილური სტუდენტებისთვის დაემატოს შესაბამის სფეროში სამუშაო გამოცდილების ქონის მოთხოვნა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება: ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების ინსტრუქციაში“ გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურები და ეტაპები.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 სასწავლო წელს (4 სემესტრი), სასწავლო წელი იყოფა 2 სემესტრად. სწავლების ბოლო სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. პროგრამის მოცულობა **120 კრედიტია**, სადაც გათვალისწინებულია:

- ✓ სავალდებულო სასწავლო კომპონენტები – 78 კრედიტი
- ✓ კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) - 30 კრედიტი
- ✓ არჩევითი სასწავლო კურსები – 12 კრედიტი

თუ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი არ მუშაობს მენეჯმენტის სფეროში, მაშინ ის სავალდებულო წესით ირჩევს პრაქტიკას (10 კრედიტი), ხოლო თუ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი დასაქმებულია მენეჯმენტის მიმართულებით, მაშინ მას შეუძლია აირჩიოს 2 არჩევითი სასწავლო დისციპლინა (5 კრედიტით ან 6 კრედიტით). საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და ლოგიკურია.

სწავლების ბოლო სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას, რა დროსაც სტუდენტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს მენეჯმენტის სფეროში არსებულ პრობლემას და ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს.

უნივერისტეტმა სრულად გაითვალისწინა წინა აკრედიტაციის ვიზიტით გაცემული რეკომენდაციები. კერძოდ, პროგრამას დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსები: „პროფესიული წერა“, „ლიდერობის სტრატეგიები“, „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“, „მარკეტინგული ქეისები და ანალიზი“, „ოპერაციათა და მიწოდების ჯაჭვის მართვა“; აგრეთვე, არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა: „ბრენდინგის მეთოდები და ანალიზი“, „პორტფელის ანალიზი და აქტივების შეფასება“, „ციფრული მარკეტინგი“, „სტრატეგიული მარკეტინგი ქეისები და ანალიზი“, „გადაწყვეტილებათა მიღების მხარდამჭერი ინფრომაციული სისტემები“.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის მოდიფიცირებაში მონაწილეობა მიიღო დაინტერესებულმა მხარეებმა (პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებელი, ადმინისტრაცია). მათი ჩართულობით განხორციელდა პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების კორექტირება, კერძოდ პროგრამაში 10 კრედიტიანი სასწავლო კურსების ნაცვლად კურსების სპეციფიკის გათვალისიწინებით ჩამოყალიბდა 8, 7, 6 და 5 კრედიტიანი სასწავლო კურსები, გაძლიერდა როგორც სავალდებულო,

ისე არჩევითი სასწავლო კურსების მოდული და პრაქტიკის კომპონენტი.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის წარმოდგენილი შინაარსი, მოცულობა და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის საფეხურის შესაბამის განათლებას (მაგისტრატურა) და პროგრამით მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში) შესაბამისობას. პროგრამა აგებულია ისე (პროგრამაზე დადგენილი დაშვების წინაპირობები, სასწავლო კომპინენტების თანმიმდევრობა და თითოეულზე განსაზღვურილი დაშვები წინაპირობები, სპეციალობის სასწავლო კურსების მოცულობა და შინაარსი, თითოეული სასწავლო კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგები, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა), რომ იგი ხელს უწყობს პროგრამით დასახული სწავლის შდეგების მიღწევას. პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითრების ინსტრუქცია;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება:

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია ინფორმაცია კურსების მიზნების, სწავლის შედეგების, შეფასების სისტემის, შეფასების კრიტერიუმების, სწავლების მეთოდების შესახებ.

პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც განსაზღვრავს თითოეული სასწავლო კურსით მისაღწევ პროგრამის სწავლის შედეგს (სასწავლო კურსის მონაწილეობას კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევაში).

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსის/კონცენტრაციის/მოდულის/საგნის სწავლის შინაარსი და შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია შესაბამისი სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში კურსისთვის დათმობილი სათანადო მოცულობის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებით დასტურდება სასწავლო კურსის თემატიკის დაძლევადობა. პროგრამის სავალდებულო ძირითადად კურსები 5, 6, 7 ან 8 კრედიტიანია, ხოლო სტუდენტის დატვირთვა გულისხმობს როგორც სტუდენტის ლექტორთან საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელ საათებს. პროგრამის ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობაა საშუალოდ 1/1.4 (მეტწილად - 1/1.6, რიგ შემთხვევებში - 1/1.1).

პროგრამის სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება თითოეულ სასწავლო კურსში. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები და

ფორმები აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია ინგლისურენოვანი დარგობრივი ლიტერატურა და სასწავლო კურსების სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს და შედეგებს. უნივერსიტეტი პერმანენტულად ანახლებს ბიბლიოთეკაში წიგნად ფონდს, რითაც უზრუნველყოფს სფეროს აქტუალურ მიღწევებთან შესაბამისობასა და პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ამასთან, მიუხედავად ამისა, სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა რიგ შემთხვევებში უმჯობესია განახლდეს (რიგ შემთხვევებში ძირითადი ლიტერატურის ნუსხაში 2013 წლის ლიტერატურაა მითითებული).

მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში საგნებს ძირითადად არ გააჩნიათ წინაპირობები და პროგრამაზე ხდება <u>**ბაკალავრიატის ნებისმიერი დარგის კურსდამთავრებულთა მიღება**</u>, შესაძლოა ამ გერემოებებმა გამოიწვიოს კომპონენტების დაძლევის სირთულე და პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუ ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

პროგრამის მარტივად დაძლევის მიზნით, სასურველია სხვა პროფილის სტუდენტებისთვის (ვისაც არ აქვს ეკონომიკასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი სამუშაო გამოცდილება) შეთავაზებულ იქნას ინტენსიური მოსამზადებელი კურსი ბიზნესის ადმინისტრირებაში ან remedy საბაზისო კურსები (მარკეტინგში, ფინანსებში, მენეჯმენტში) კურიკულუმს მიღმა.

სასურველია დაწესებულებამ გამუდმებით იზრუნოს პროგრამის უახლესი ლიტერატურით უზრუნველყოფაზე, რათა გამოირიცხოს საბაკალავრო საფეხურის ლიტერატურის გამოყენება, თუნდაც როგორც დამხმარე ლიტერატურისა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება:

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. აღნიშნული პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში აქტიურად არის გამოყენებული პრაქტიკული მეცადინეობები/დავალებებები, ქეისების განხილვა, პროექტების მომზადება, ჯგუფური სამუშაოები, ბიზნეს თამაშები და სიმულაციები. პროფესიული წერა და ბიზნესის კვლევის მეთოდები ეხმარება სტუდენტებს კვლევისთვის საჭირო უნარების განვითარებაში. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კი სტუდენტები ინდივიდუალურად ახორციელებენ კვლევით პროექტებს. პროექტების მართვის, ლიდერობის სტრატეგიების, მარკეტინგული ქეისები და ანალიზისა და ბიზნეს სიმულაციების კურსები უნვითარებენენ სტუდენტებს პრაქტიკულ და ტრანსფერულ უნარებს. სასწავლო პროგრამა არჩევით კომპონენტში ასევე მოიცავს პრაქტიკას. აღნიშნული საგნის გავლა სავალდებულოა იმ სტუდნეტებისათვის, რომლებიც არ არიან დასაქმებული სპეციალობით და საჭიროებენ ბიზნესის სფეროში პრაქტიკული გამოცდილების მიღებას. პრაქტიკა პროგრამის სტუდენტებს ეხმარება, რომ გაეცნონ ორგანიზაციის სტრუქტურას/საქმიანობას და გამოიყენონ თეორიული ცოდნა რეალურ, სამუშაო გარემოში. სტუდენტები პრაქტიკას გადიან იმ კომპანიებში, რომელთანაც ფაკულტეტს პროგრამის ფარგლებში გაფორმებული

აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემომორანდუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სასწავლო გეგმა/პროგრამა და სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ ურთიერთთანამშრომლობის მემომორანდუმები; ○ პრაქტიკის დღიურის/ანგარიშის ფორმა.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების სამაგისტრო (მეორე) საფეხურს, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკასა და შინაარსს. შემდეგი სწავლა/სწავლების მეთოდებია გამოყენებული სასწავლო კურსებში: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული სამუშაოები, სემინარი და დამოუკიდებელი სამუშაოები, ხოლო სწავლა/სწავლების მეთოდები ეფუძვნება შემდეგ ძირითად აქტივობებს: პრეზენტაცია, დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთესი, ქეისების ანალიზი, დისკუსია, როლური/სიტუაციური თამაშები, გონებრივი იერიში, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტები/პრეზენტაციები და ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობა. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდები და აქტივობები სტუდენტებზე ორიენტირებულია, არის მოქნილი და ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას. სასწავლო პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ლექტორთან დამატებითი საკონსულტაციო სესიები (კვირაში 2 საათი თითოეული კურსისთვის). აღნიშნულ დაწესებულებაში ასევე მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შემუშავების პრაქტიკა პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო გეგმა/პროგრამა და სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სტუდენტებთან;
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- საკონსულტაციო შეხვედრების განრიგი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, მუხლი 31.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შეფასება ხორციელდება საუნივერსიტეტო წესებისა და კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, გამჭვირვალედ და სამართლიანად. სასწავლო კურსებში გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, რომელიც მიზნად ისახავს შეფასდეს რამდენად წარმატებულია სტუდენტის შედეგები სასწავლო კურსისთვის დადგენილი შედეგების მიღწევის ნაწილში. ამასთან, თითეული კურსისთვის დეტალურად არის აღწერილი შეფასების სქემა, აღწერილია მაქსიმალური და მინიმალური ქულების მახასიათებლები, გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი ფორმები, რომელიც ძირითადად თანხვედრაშია კურსის შინაარსსა და მიზნებთან. უსდ-ს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის, შეფასების პროცედურებისა და შეფასების კრიტერიუმების აღმწერი დებულება, რომელშიც ნათლად არის წარმოდგენილი ყველა ის პროცედურა, რაც მაგისტრობის კანდიდატმა უნდა დაიცვას სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, ამავდროულად, დოკუმენტში აღწერილია კომისიის შემადგელობის განსაზღვრის წესი. უსდ-ში ასევე შემუშავებულია სტუდენტის შეფასების და გასაჩივრების პროცედურები. სტუდენტების მიმდინარე შეფასებები ასახულია უნივერსიტეტის ელექტრონულ სისტემაში SIS, შეფასების მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა წინასწარ დადგენილი წესების შესაბამისად გაასაჩივროს მიღებული შეფასება ფაკულტეტის ადმინისტრაციაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუ უსდ-ს წარმომადგენლებთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • გამოცდების ჩატარების წესი; • სამაგისტრო სწავლების დებულება; • მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;

• უსდ-ის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ სტუდენტის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, სასურველია უსდ-მ გაზარდოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების გასაჩივრების ვადა 2 კალენდარული დღიდან 5 სამუშაო დღემდე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში სრულად არის გააზრებული სტუდენტსა და მის განვითარებაზე ორიენტირებული სერვისების მნიშვნელობა. პროგრამის სტუდენტები სწავლის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგაც იღებენ ისეთ საუნივერსიტეტო სერვისებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას, კარიერულ განვითარებას. უსდ-ში სასწავლო პროცესის ეფექტურ მართვას და სტუდენტთა საკონსულტაციო მომსხურებას ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის ადმინისტრაციული მენეჯერი უზრუნველყოფენ. აკადემიური პერსონალის კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია კი მოცემულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და ამასთან, გაწერილია საერთო საუნივერსიტეტო წესებშიც. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებსაც. გარდა ამისა, პროგრამაზე ირიცხებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც - პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი საკმაოდ მაღალია, თუმცა უსდ გეგმავს პროგრამაზე მეტი უცხოელი სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის მოზიდვას. უსდ მუშაობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზეც, თუმცა, ინტერვიუებისას ცხადი გახდა, რომ ამ მიმართულებით უსდ-ს მუშაობა ფრაგმენტირებულია და არ ატარებს სისტემურ ხასიათს. პროგრამის სტუდენტები ჩართულები არიან სხვადასხვა აკადემიურ აქტივობებში, მათ შორის მონაწილეობენ კონფერენციებში, სხვადასხვა კვლევებში და ა.შ. უნივერსიტეტი ხშირად მასპინძლობს სხავადასხვა ექსტრაკურიკულარულ აქტივობებსაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ უსდ-ს წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებსა და დამსაქმებლებთან; ○ უსდ-ის ინტერნაციონალიზაციის ანგარიში; ○ უსდ-ის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებები; ○ ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის დამადასტურებელი მემორანდუმები. ○ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: ○ უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს კარიერული განვითარების მიმართულებით დეტალური სამოქმედო გეგმა და ამ მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს მისცეს

სისტემური ხასიათი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს უსდ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად სთავაზობს კვალიფიციურ და გამოცდილ აკადემიურ პერსონალს. უსდ-ს განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც ხელმძღვანელი უნდა აკმაყოფილებდეს, ასევე, განსაზღვრულია თანახელმძღვანელის შერჩევის წესიც. ხელმძვანელის შერჩევის დეტალური პროცედურა მოცემულია სამაგისტრო სწავლის დებულებაში. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და სამაგისტრო ნაშრომების საფუძველზე დგინდება, რომ სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა და ხელმძღვანელის კვლევის სფეროები ან მათი აკადემიური მიმართულება თანხვედრაშია ერთმანეთთან. თუმცა, ზოგიერთი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ხარისხი აჩენს კითხვებს აკადემიური მუშაობის სტანდარტებთან მიმართებაში, რამდენადაც დაცული ნაშრომების ნაწილში დარღვეულია ნაშრომის სტრუქტურა, გამოყენებულია არასათანადო ლიტერატურა და ა.შ. თუმცა, ამ მიმართულებით უსდ-მ განახორციელა ცვლილება კურიკულუმში, კერძოდ ამჟამად პროგრამაში წარმოდგენილია ორი კურსი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტს აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების შესაბამისი ცოდნით.

უნივერსიტეტში დაცული სამაგისტრო ნაშრომები მიუთითებს, რომ უსდ-ში არ არის შემუშავებული ერთიანი სტანდარტი - აკადემიური წერის სტილი. წარმოდგენილი ნაშრომები განსხვავდება ერთმანეთისგან სტრუქტურით, ციტირების წესით და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ პროგრამის კურსდამთავრებულებსა და სამაგისტრო ხელმძღვანელებთან; ○ სამაგისტრო სწავლების დებულება; ○ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომები; ○ მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; ○ უსდ-ის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ შეიმუშავოს შერჩეული აკადემიური სტილის შემოწმებისა და დაცვის მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავენ სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ერთიან წესს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ 2018 წლის 2 აგვისტოს დასკვნის შემდეგ, უსდ-მ პროგრამის სტრუქტურა განაახლა და კურიკულუმში გვხვდება ორი მნიშვნელოვანი კურსი: პროფესიული წერა და ბიზნესის კვლევის მეთოდები. აღნიშნული კურსები უზრუნველყოფენ სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას და ამასთან, ზრდიან სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ხარისხს აკადემიურ სტანდარტებთან მიმართებაში.
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის გამხორციელებაში ჩართულია 17 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. მათ შორის 11 აკადემიური და 6 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პერსონალს შორის 5 პროფესორია (ხუთივე აფილირებული პროფესორია), რაც პროგრამის განხორციელებაში ჩართული მთლიანი პერსონალის 29%-ია; 6 ასოცირებული პროფესორი (ექვსივე აფილირებული ასოცირებული პროფესორია), რაც მთლიანი პერსონალის 35%-ია. სულ აკადემიური პერსონალი პროგრამის განხორციელებაში ჩართული მთლიანი პერსონალის 65% - ია, ხოლო მოწვეული პერსონალი - 35% -ია.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალიდან 15 ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის სპეციალისტია და სპეციალობის შესაბამის სასწავლო კურსებს უძღვება, ხოლო 2 - საუნივერსიტეტო ან ზოგად არჩევით სასწავლო კურსებს, კურსისთვის შესაბამისი კვალიფიკაციით (პროფესიული წერა, ბიზნესის კვლევის მეთოდები, კონკურენცია და მარეგულირებელი სამართალი).

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის ნაშრომებით. მოწვეული პერსონალი ან სასწავლო კურსის შესაბამისი დარგის დოქტორია და ამ შემთხვევაშიც მისი კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის პუბლიკაციებით, ან მათი კვალიფიკაცია დასტურდება დარგში მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილებით. ყველა მოწვეულ პერსონალს აქვს პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება (კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია იხ. დანართის სახით - პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომები), პუბლიკაციების სია).

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის სქემა შემუშავებულია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისა და დატვირთვის განაწილებისას მხედველობაში მიიღება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (იხ.საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქცია).

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში პროფესორის მაქსიმალური სალექციო დატვირთვა კვირაში არის 9 აკადემიური საათი, ასოცირებული პროფესორისათვის - 12 აკადემიური საათი, ასისტენტ პროფესორისათვის- 15 აკადემიური საათი. მოწვეული ლექტორის დატვირთვა - კვირაში მაქსიმუმ 15 საათი. მითითებული დატვირთვისაგან განსხვავებული დატვირთვა შესაძლებელია დადგინდეს რექტორთან შეთანხმებით.

(დეტალებისთვის იხ. აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის დებულება).

აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა ასევე ითვალისწინებს სტუდენტებთან საკონსულტაციო საათებსაც, კერძოდ, 2 საათი კვირაში. სილაბუსით განსაზღვულია ყოველ კვირაში 2 საათი საკონსულტაციო შეხვედრები (იხ. მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები). კონკრეტული ინფორმაცია საკონსულტაციო შეხვედრების დროისა და ადგილის შესახებ ყოველი სემესტრის დასაწყისში განისაზღვრება საკონსულტაციო შეხვედრების განრიგით.

აკადემიური პერსონალი ჩართულია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაშიც (ნაშრომების ხელმძღვანელობა, სტუდენტური კონფერენციის თემის ხელმძღვანელობა).

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. მათი ჩართულობა გულისხმობს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, პროგრამის სტრუქტურის, პროგრამის კომპონენტების სემესტრული განაწილების, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების, თითოეული სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობის, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების შეფასებას, აღნიშნულთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და რჩევების პროგრამის ხელმძღვანელისთვის გაზიარებას.

მოწვეულ პერსონალში აქტიურად იყენებენ მაგისტრის ხარისხის მქონე პრაქტიკოს სპეციალისტებს. მათი ნაწილი სწავლობს დოქტორანტურაში სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მათთან გასაუბრებისას დადასტურდა მათი შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამის სასწავლო პროცესის განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ადმინისტრაციულ საქმეთა მენეჯერები (2 თანამშრომელი), სტუდენტურ საქმეთა განყოფილება (3 თანამშრომელი), კარიერის დაგეგმვის სამსახური (2 თანამშრომელი), ბიბლიოთეკა (2 თანამშრომელი), საგამოცდო ცენტრი (2 თანამშრომელი), ჯამში 14 ადმინისტრაციული პერსონალი (იხ.უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები; o ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი; o პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დიპლომები), პუბლიკაციების სია; o პროგრამის ხელმძღვანელების რეზიუმე, პუბლიკაციების სია და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი); o გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებას. შეფასება გულისხმობს პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასებას, აკადემიური პერსონალის შემთხვევაში კი კვლევითი საქმიანობის შეფასებასაც. პედაგოგიური საქმიანობის შეფასება ხორციელდება სემესტრულად, ხოლო კვლევითი საქმიანობის - წლიურად.

პერსონალის პედაგოგიური საქმიანობის შეფასება ხდება რამდენიმე კომპონენტით - აკადემიური წლის ბოლოს პერსონალის სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის ანგარიშით და ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტების გამოკითხვის საშუალებით (საუნივერსიტეტო პორტალზე - sis). გამოკითხვის პროცესში სტუდენტები აფასებენ ლექტორის მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, გამოყენებულ ლიტერატურას, სასწავლო კურსის მსვლელობის სილაბუსთან შესაბამისობას, სასწავლო კურსით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას, შეფასების სისტემის ადეკვატურობას და ა.შ. (დეტალებისთვის იხ. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორების შეფასების კითხვარი, სტუდენტთა გამოკითხვის (ლექტორების შეფასება) შედეგების ანგარიში); საუნივერსიტეტო ელექტრონული პორტალის smart-ის გამოყენების ინტენსივობით, საუნივერსიტეტო პორტალზე sis შეფასების კომპონენტების და შეფასების შედეგების დროული ატვირთვით. ანალიზისა და შეფასების საფუძველზე გაიცემა რეკომენდაციები. რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელი თითოეულ პედაგოგს ინდივიდუალურად აცნობს.

აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ყოველი აკადემიური წლის ბოლოს. აკადემიური პერსონალი ვალდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგინოს აკადემიური საქმიანობის წლიური ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია ინფომრაცია ნაშრომების, პუბლიკაციების, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის, განხორციელებული პროექტების, კონფერენციებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში მონაწილეობის შესახებ. ანგარიშის თითოეული კომპონენტისთვის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში დადგენილია შესაბამისი

ქულები. პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე სავალდებულოა ყოველწლიურად მინიმუმ 60 ქულის დაგროვება, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - ყოველწლიურად მინიმუმ 40 ქულის დაგროვება, ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - ყოველწლიურად მინიმუმ 20 ქულის დაგროვება, ასისტენტი - მინიმუმ 10 ქულის დაგროვება. სავალდებულოა ქულათა 50% მოპოვებული იყოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო განვითარებაზე - ფინანსურად წახალისებულია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება, აგრეთვე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, წიგნებისა და სახელმძღვანელოების შექმნა. უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება ტრენინგები და კონფერენციები აკადემიური პერსონალის პროფესული განვითარების მიზნით.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ტარდება ტრენინგები.

მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებსა და კონფერენციებში, პერსონალს აქვს საერთაშორისო პუბლიკაციები, რაც ხელს უწობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას (იხ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია; ასევე ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის ანგარიში).

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მონაწილეობს გაცვლით პროგრამებშიც, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პროცესს. (დეტალებისთვის იხ.ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის ანგარიში).

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტან აფილირებული აკადემიური პერსონალი სარგებლობს შემდეგი ფინანსური ხელშეწყობით: აფილირებული პირის მიმართვისა და ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, 3000 ლარის ფარგლებში, დაუფინანსოს აფილირებულ პირს კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. (იხ. თანდართული ნიმუში - კონტრაქტი აფილირების შესახებ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

o გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;

o ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;

o აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მოღვაწეობის წლიური ანგარიშები;

o აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებული ტრენინგების შესახებ ინფორმაცია;

o პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები,

პუბლიკაციების სია; o კონტრაქტი აფილირების შესახებ; o ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის ანგარიში;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრირება და პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების განხორციელება ხდება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ, #2, 0131). შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და

ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია ადეკვატური ფინანსური და მატერიალური რესურსები, სასწავლო პროცესის გამართული მუშაობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რათა სტუდენტებს მიეწოდოს პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია და უზრუნველყოფილ იქნას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. გამოყოფილია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, უნივერსიტეტში არსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სხვა.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან / და ბეჭდური ფორმით.

პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსოტეტის ბიბლიოთეკაში, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. Smart პორტალზე განთავსებულია ლექტორების მიერ მომზადებული პრეზენტაციები და სხვა დამხმარე მასალა, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესახებ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- **o** უნივერსიტეტის კომპიუტერული კლასები და ლაბორატორია;
- o უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- o შზსუ-ის ბიბლიოთეკის კატალოგი და ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა;
- o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- o ელექტრონული ბაზები;
- o უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- o ტექნიკის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიუჯეტირების პროცესი დეცენტრალიზებულია. გამოყოფილი თანხების მოცულობა საკმაოდ მცირეა, ამდენად მათი ეკონომიკური მიღწევადობა ეჭვს არ იწვევს. უფრო მნიშვნელოვანია განისაზღვროს რამდენად მიღწევადია ამ ხარჯებით პროგრამის მიზნები.მიზანშეწონილია უფრო დეტალურად გაიწეროს პროგრამის განხორციელების პირდაპირი ხარჯები, განისაზღვროს მაგისტრანტთა ის მინიმალური რაოდენობა რომელთა მიღება უზრუნველყოფს ამ ხარჯების ანაზღაურებას (თვითგამოსყიდვა), ხოლო უფრო ნაკლები რაოდენობის შემთხვევაში პროგრამის პირდაპირი ხარჯების დაფარვის გზები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკტხი არ ეხება პროგრამის ფინანსურ მდგრადობას, საუბარია ბიუჯიტირების პროცესის გაუმჯობესებაზე, შესაბამისი ხარჯებისა და მათი დაფარვის წყაროების ერთიან წარმოდგენის ფორმატზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: მიზანშეწონილია ბიუჯეტის უფრო გასაგები ფორმატით ფორმირება და საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა. მიზანშეწონილია ერთ დოკუმენტში იყოს წარმოდგენილი ხარჯები და მათი დაფარვის წყაროები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ბიზნესის ადმინისტრირების მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აფილირებული და მოწვეული აკადემიური პერსონალი რეგულარულად თანამშრომლობს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის სამსახურის თანამშრომლებთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში. აღნიშნული თანამშრომლობა მიზნად ისახავს პროგრამის ხარისხში ნაკლოვანებების გამოვლენესა და მათ დროულ აღმოფხვრას. აღნიშნული დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ეფუძვნება ხარისხის უზრუნველყოფის დებულებას, რომელიც ორიენტირებულია სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასა და განვითარებაზე. აღნიშნული სამსახურის რეგულარულად აწარმოებს მრავალფეროვან კვლევებს, როგორიცაა სასწავლო პროგრამის, სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასება სტუდენტების გამოკითხვის საფუძველზე, სტუდენტების აკადემიური მოსწრების/ ნიშნების გადანაწილების ანალიზი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური დატვირთვის ყოველწლიური შეფასება, საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი: სის და სმარტ ბაზების გამოყენების შეფასება, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო მოღვაწეობის წლიური შეფასება. აღნიშნული კვლევის შედეგების დამუშავების საფუძველზე უნჯობესდება სწავლა, სწავლებისა და სამეცნიერო აქტივობების წარმართვა.

- მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის გადამუშავებისა და განვითარების პროცესში გამოყენებულ იქნა ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" პრინციპები. სტუდენტების მხრიდან სისტემალურად ხდებოდა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის და სასწავლო კურსების შეფასება. ასევე ხორციელდებოდა სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების კვლევებიც. პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამის განახლებული მიზნები, სწავლის შედეგები და სტრუქტურა განიხილა დაინტერესებულ პირებთან. თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყო ფაკულტეტის დეკანი/დეკანის მოადგილე, ფაკულტეტისა და საუნივერსიტეტო სხვა რელევანტური ადმინისტრაციული სამსახურების თანამშრომლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები. აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უწევდა პროგრამის ხელმძღვანელი. ერთობლივი ძალებით მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის მობილიზება და დამუშავება. საუნივერსიტეტო რეგულაციების თანახმად ხორციელდება ხარისხის უზრუნველოფა და საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის მართვა აღნიშნულ დაწესებულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დოკუმენტები;
- პროგრამის განვითარების ანგარიში;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ლექტორების და სასწავლო კურსების შეფასების ანგარიშები;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის წლიური ანგარიში (2018-2019 აკადემიური წელი);
- სამეცნიერო მოღვაწეობის წლიური ანგარიშის ანალიზი (2018-2019 წელი)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამია რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ჩართულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიურ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებში. 2018 წლის 24 აგვისტოს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #108 გადაწყვეტილების საფუძველზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწიენბით მოხდა პროგრამის მოდიფიცირება. აღნიშნულ პროგრამას დაემატა სავალდებულო და არჩევითი საგნები, გადაიხედა საგნების კრედიტების მოცულობა, სასწავლო კურსებს დაემატა წინაპირობები.

დაწესებულებამ ასევა მოახდინა პროგრამის დიზაინის შედარება საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და ასევე ადგილობრიბ დამსაქმებლებს შეაფასებინა პროგრამის დიზაინი, სტრუქტურა, მიზნები და სწავლის შედეგები. დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციების პროგრამაში ინტეგრირების საფუძველზე, პროგრამა უფრო მეტად გახდა დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი და გააძლიერა პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარების შესაძლებლობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკრედიტაციის საბჭოს #108 გადაწყვეტილება და 2018 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ანგარიში; ○ ბენჩმარკინგის დოკუმენტი და უცხოელი ექსპერტების პროგრამის შეფასების ანგარიშები; ○ ინტერვიუს შედეგები თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, მოხდეს ადგილობრივ ბაზარზე არსებული კონკურენტული საგანმანათლებლო პროგრამების დიზაინისა და მათი კონკურენტული უპირატესობების შეფასებაც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- აღნიშნილი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება ყველა რელევანტური (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული თუ ადმინისტრაციული პერსონალის) და დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, საერთაშორისო კოლეგები). კვლევების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებებზე და ექსპერტთა/დამსაქმებელთა/სხვა დაინტერესებულ პირთა რეკომენდაციებზე შესაბამისი რეაგირების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული დაწესებულება და პროგრამაზე პასუხისმგებელი პირები მიზნობრივად იყენებენ ჩატარებული გამოკითხვების შედეგებს პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო კურსებზე დასწრებით, სასწავლო კურსებისა და პროგრამის შეფასებით. სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა და აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუების პროცესში აღნიშნეს, რომ მათი შეხედულებების/შენიშვნების/რეკომენდაციების გათვალისწინება მუდვიდად ხდება პროგრამის განვითარებისა და დახვეწის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი);
- სტუდენტების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, პოტენციური დამსაქმებელების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის და ლექტორების შეფასების კითხვარი, სტუდენტთა გამოკითხვის (სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასება) შედეგების ანგარიში;
- ლექციის შეფასების ფორმა;
- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსისა და ლექტორი შეფასების კითხვარი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ინგლისურენოვანი მენეჯმენტის პროგრამა, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

გიორგი ღაღანიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

ნინო პატარაია

ბექა მარუაშვილი

დავით ცირამუა